

კედეშვილი: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა კედეშვილის: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дრობა“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ხოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშხათ

განცხადება: მიიღება კარათულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

უასი განცხადებინა: ღირსი ასობით ასობე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

კედეშვილის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდო გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ხოველ-დღიური გაზეთი

### „დროება“

ხელის-მოწერა: მთელისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8).

მალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ Типографіи. Въ редакціи газетъ „Дრობа“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი აპრილიდან პირველ ივლისამდე გაზეთი ღირს—2 მან. და 50 კაპ., წლის დამლევამდე—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათვის უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 20 მარტი (1 აპრილს). მინისტრმა ბარდიმ წარუდგინა საზოგადოებათა პალატას ინგლისის კოროლევის ეპისტოლე რეზერვის ჯარისა და მილიციის დაუყოვნებლივ მოკრებაზედ.

ზეგ. მას, ლორდი ბრენვილი და მარკიზი ბარდინგტონი მიიღებენ მთელი ინგლისის დიბერალურ პარტიის დეპუტაციას, რომელსაც წინ ბრავიტი მიუძღვის და რომელიც გამოაცხადებს სურვილს, რომ ინგლისმა რუსეთს ომი არ აუტყენოს.

ბელგრადი, 20 მარტი. სერბიის ჯარის სარდალმა ხორვატოვიჩმა გაუგზავნა მთავარს მილანს თხოვნა თანამდებობიდან დათხოვნის თაობაზე.

სტამბოლი, 20 მარტი. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დაესწრო გუშინ ბერმანის ელჩის პრინც რეისის შეილის მონათვლაზედ.

პეტერბურგი, 22 მარტი. ბრაჭი იგნატიევი ეს-არის ახლა დაბრუნდა პეტერბურგში.

ჰენა, 21 მარტი (2 აპრილს). რუსის ჯარებმა მალიპოლისაკენ გაიწიეს. რუსებმა მოსპეს ოსმალთა ტყვეების უკან დაბრუნება.

ოსმალთა ბუიუქ-დერეში მაგრდებიან.

სან-სტეფანოში მუდამ დღე მოდიან ცეცხლის-გემები რუსის ჯარისათვის დატვირთულის სურსათით. ქველა რუსის ჯარებს, რომელნიც ბალკანის მთების ჩრდილოეთით იდგნენ, ბრძანება მოუვიდათ, რომ გაიწიონ მდ. ლუნაის ნაპირებისაკენ, სადაც ახალს სიმაგრეებს აშენებენ და ძველებს აკეთებენ. სოჭიაში არის მოგროვილი დიდ-ძალი ჯარი რუსისა, რომელსაც აგრეთვე ბალკანის მთების სამხრეთით აგზავნიან.

ლონდონი, 21 მარტი. დაიბეჭდა ბრძანება ინგლისის კოროლევისა, რომლის ძალითაც რეზერვის ჯარს მიწერილობა აქვს მიღებული, რომ 5 (19) აპრილისათვის დაუყოვნებლივ მოგროვდნენ იმ ალაგებზედ, რომელიც სამხედრო მინისტრისაგან არის დანიშნული.

ხმა არის, რომ აქაური პესტრო-შენგრიის ელჩი გრაფ ბეისტი ჰენაში წავიდაო.

დღეს კოროლევასთან არის კრება მინისტრებისა.

### პეტერბურგის ბირჟა, 22 მარტი:

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

|            |   |        |           |
|------------|---|--------|-----------|
| ლონდონი    | — | 23 1/2 | მან. კაპ. |
| ამსტერდამი | — | 118,50 | „         |
| ჰამბურგი   | — | 201    | „         |
| პარიჟი     | — | 247    | „         |

შინაგანი სესხის ბილეთები 5%:

|                |   |     |     |
|----------------|---|-----|-----|
| პირველი სესხის | — | 221 | „   |
| მეორე სესხის   | — | 220 | —37 |

ბანკის ბილეთები:

|                     |   |    |     |
|---------------------|---|----|-----|
| პირველი გამოცემის   | — | 95 | —50 |
| მეორესი             | — | 95 | „   |
| მესამესი            | — | 95 | „   |
| მეოთხესი            | — | 94 | —75 |
| აღმოსავლეთის        | — | „  | „   |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი | — | 8  | —46 |

## სამართველო

მოკაპალი ომი

ოქრო გაძვირდა, შაქარმა და პურმა ფასი აიწია, შინაგანი სესხის ბილეთები გაიაფდნენ, — ეს საუკეთესო ნიშნებია იმის რომ რალაც შიში არის, რომ რალასაც მოელოან.

ჰერ ერთი ომისაგან ძლიერს გაეთავისუფლდით, მეორე კარზე მოკვადგა.

დამარცხებულ ოსმალეთთან მორიგების პირობის შეკვრა ძელივს მოვასწარიო, ამჟამი ინგლისი ხელ-ახლად ბრძოლის ატეხას გვემუქრება...

პოლიტიკური ვარემოება ცხადათ არის ამ ჟამად გამოხატული: ინგლისი ეუბნება რუსეთს: წარმოადგინე კონგრესზე ყველა მუხლები ოსმალეთთან შეჩივრების პირობისა; მეროპის წარმომადგენლებმა უნდა განიხილონ და დაამტკიცონ ეს პირობაო, თორემ მე არ ვავერევი კონგრესში და ჩვენს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდებაო. რუსეთი უპასუხებს: მე წარუდგენ კონგრესს მხოლოდ იმ მუხლებს მორიგების პირობისას, რომელთაც მეროპის ნამდვილ ინტერესებთან რაიმე კავშირი ექვს; დანარჩენი მუხლები კი პირ-და-პირ ჩვენს მე და ოსმალეთს შეგვევება და ჩვენ ერთმანერთში მოეთავსდითო.

ამ მდგომარეობაში არის საქვე. და ეს რომ პოლიტიკური და დიპლომატიური საქმე არ იყოს, მაშინ ნამდვილად შეიძლებოდა თქმა, რომ ამ ორ სახელმწიფოს შუა უეჭველად ომი ატყდებოდა. მაგრამ ეს დიპლომატიური საქმეა და ამიტომ შესაძლებელია, რომ ეს საქმე სრულიადაც ისე არ ვითარდეს, როგორც გონება გვიჭრის, როგორც ჩვეულებრივი საქმეები თავდება ხალხზე: შეიძლება კიდევ მოთავსდნენ და ომი არ ატყდეს.

მაგრამ თუ ვერ მოთავსდნენ და ომი ატყდა, ეს ომი სრულიად იმ ოსმალეთთან ომს როდი ემსგავსება, რომელიც რუსის არმიამ ასეთის გამარჯვებით დააბოლოვა. ეს იქნება ცხარე, შეუბრალებელი, ხანგრძლივი და დამლუბველი ომი.

მ. ბანმარკმა დაცინებით სთქვა თუქმე ამას წინათ, რომ რუსეთისა და ინგლისის ომი ცხენისა და თევზის ოქამისგანაა; ე. ი. ერთს მხოლოდ ზღვაში აქვს ძალა და მეორეს კი მარტო ხმელეთზედო. ეს კარგი მახვილობაა; მაგრამ, როგორც ხშირად სჭირს ხალხმე მახვილობას, არც ამასა აქვს საფუძველი: დარწმუნებული იყავით, რომ ბრძოლის ევლს კი მონახვენ მებრძოლნი, კი მონახვენ ისეთს ალაგს, საცა ერთმანეთს შეეცაკებიან.

ჩვენ მოვიყვანეთ ამას წინათ ერთი რუსული გაზეთის სტატია, რომლის ავტორი ამტკიცებდა, რომ ინგლისთან ომი ჩვენ დაგვლუპავსო, ზღვაში გავსლა და იმის ძრიელ ფლოტთან შეხება ჩვენ არ შეგვიძლიაო, თვითონ იმათ ქვეყნას ჩვენ ვერ მივადგებითო და იმათ კი



თავისუფლად შეუძლიან თითქმის ყველგან, საცა ნებათ, მოადგენენ ჩვენ ზღვის ნაპირა, ქალაქებს, გამოიყვანონ აქ ჯარები და ავიოხრონ ქვეყანა, ჩვენ არაგყავს იმდენი ჯარი, რომ ყველა ზღვის ნაპირა ქალაქებში დავაყენოთ და არ შემოუშვათ მტერი და სხვ. და ამის გამო, ავტორი ამტკიცებდა, რომ ჩვენ ისევ ხმელეთზე უნდა დავეცეთ ინგლისს და ეს ხმელეთი, რომელიც ბრძოლის ველად უნდა გადაიქცეს, ინგლისის სამფლობელო ინდოეთი არისო.

არ შეიძლება, ყველაფერში თუ არა, ზოგიერთ ამ მოსაზრებაში არ დაეთანხმოს კაცი ამ სტატიის დამწერს.

მართლაც, ეს ომი რუსეთისათვის ძალიან ძნელი და დამაზიანებელი ომი იქნება: უიჭველია, რომ ბრძოლის გამოცხადებისათვის ინგლისი შეუკრავს რუსეთს ყველა ზღვების გზებს და ეს გზის შეკრა, ეს ბლოკადა იმას კი არ ემსგავსება, როგორც მსმალეთმა შეკრა შავი ზღვა, როდესაც რუსის ხომალდები თითქმის თავისუფლად დადიოდნენ ამ ზღვაში, რამდენჯერმე გაისიერნეს შოთსა, სევასტოპოლსა და მდსას შუა, იყვნენ ბათუმში და სხვ; ინგლისს იმდენი სამხედრო ხომალდები ჰყავს და ისეთი დახელოვნებული ზღვის აფიცრები, რომ, უიჭველია, ის ზღვაში არც ერთ რუსის ხომალდს არ გააბედინებს გამოსვლას. და ამნაირად მოსაზრებით იქნება რუსეთისათვის ყოველი ვაჭრობა ზღვის გზითა.

ახლა თქვენ დაუმატეთ ამას ის გარემოება, რომ თუ ინგლისმა ეს ბრძოლა მუდამ წელს განახლა, თუ რამდენიმე წლის განმავლობაში არ მოგვასვენა, როგორც თვითონ გვპირდება, და მაშინ ადვილად გასაგები იქნება ისიც, რომ, თუ მსმალეთთან ბრძოლამ ამდენი გვაზარალა ჩვენ, თუ ამ ათი თვის ომმა ამისთანა სუსტ მტერთან ამდენი ხალხი დაგვიღუპა თუ თვითონ ბრძოლის ველზე და თუ საავთმყოფოებში და ასეთ ნაირად დაასუსტა ჩვენი სახელმწიფო ხაზინა, მაშ რაღა უნდა იქნეს ერთი-ორად, ერთი-სამად უფრო ძვირად ინგლისთან ბრძოლა! რაღა თქმა უნდა, რომ ეს ბრძოლა ერთი-სამად უფრო დამაზიანებელი იქნება რუსეთისათვის. და ეს ხარალი არ შემსუბუქდება, თუნდა ჩვენ ამ ბრძოლიდანაც გამარჯვებულები გამოვიდეთ.

შემდეგში მოვილაპარაკებთ ჩვენ იმაზე — რას უნდა მოელოდეს ჩვენი ქვეყანა, რა როლი ექნება ძველისას, თუ მართლა რუსეთსა და ინგლისს შუა ბრძოლა ატყდა.

ს. მ.

დღიური

\* \* \* ზუშინ, 21 მარტს, საღამოს 6 საათზე დ.მ. ძველნის ნამესტნიკი თავის მეუღლითა და ორის შვილით წარბძანდნენ ოთხილისილამ პეტერბურღში, სანამ დადი მთავარი პეტერბურღში იქნება, მანამ

ძველნის მთავრ მმართველის თანამდებობას ასრულებს ლენ.-ადიუტ. თავ. სვიატოპოლკ-მირსკი.

\* \* \* ზოგიერთი ცნობები საგარეჯოს „დამზოგველ ამხანაგობაზე“ ან, როგორც ხალხმა დაარქვა, დებოზედ:

ამხანაგობას შეადგენს ამ ქამად სულ 76 კაცი და ქალი. ამათ შემოტანილი აქესთ 1,702 მანეთი საწილო ფული. მონების თანხად დებოში არის 228 მან. (თითო წევრისა მ მან.) ამხანაგობას აქეს ნასესხი ფული—600 მან.

ამ წლის იანვრილამ ვიღრე 1 მარტამდინ სულ 2,410 მანეთის საქონელი შეტანილა მალაზიაში და ამავე ხნის განმავლობაში გაყიდულა—2.074 მანეთის და 88 კაპეიკის საქონელი.

ჩვენ გვითხრეს, რომ ამ მოკლე ხანში დებოს ფარჩეულებითაც დაუწყია ვაჭრობაო.

\* \* \* ჩვენ შევიტყეთ, რომ არსენალში ბევრი მაშინები და სხვა-და-სხვა იარაღები დამწვარა თუ დურგ-ისა და თუ მჭედლისა; ზოგი კი გადურჩენიათ. მარტო შენობის შეკეთება, როგორც ამბობენ, ხაზინას 30,000 მანეთად დაუჯდებაო და ეს შენობა სამ თვეზე აღრე არ იქნება მზათაო.

\* \* \* ხელ-ახლად გაძვირდა ჩვენში პური, ხორცი, შაქარი და სხვა ყოველიგვარი ხორაგეული. რასაკვირელია, ჩვენი ვაჭრები სარგებლობენ იმ გარემოებით, რომ ამ უკანასკნელ დღებში პეტერბურღილამ და უცხო ქვეყნებიდამ „დასაფთხობი“ ტელეგრამები მოდის ხოლმე, ხელახლად ომის ატეხას მოელიან.

შალაქში ახალი კიტრი შემოვიდა, ათ შაურად, სამ აბაზად იყიდება თითო.

\* \* \* ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ სამს თუ ოთხ ავაზაკს ერთი მდიდარი სომხის შვილი მოუკლავთ საგარეჯოში; ამბობენ, რომ ამ ყმაწვილის მამას მიადგენ თურმე ეს ავაზაკები და უთხრეს, ახლავ ფულები მოგვეცი, თორემ შვილს მოგიკლავთო. მამა გაჯიუტებულიყო. 12 თუ 20 თუმანი მიეცა, მეტი არ გამაჩნიაო. ავაზაკებს ხანჯალი დაეკრათ შვილისათვის და იქვე მოეკლათ.

იმ დროსვე ამავე ავაზაკებს საგარეჯოს „დებოს“ გატეხა მოენდომებინათ, მაგრამ ვერ მოეხერხებინათ.

შველანი მასკებით ყოფილან. ამბობენ, ამათში გამოჩენილი ტატო წულუკიძე ერიოა.

„დროების“ კორექტორი

იქა-იქ მონაგროვი.

ახალ-სენაკი. მაქსიმეს ნაამბობი: „ეს ერთი კვირაა, რაც მე ჩემსას მოველ,“ დაიწყო მაქსიმემ მწუხარების ხმით. ჩემი ცოლი რაღაც მოწყენილი დამხედა. არ მომეგება, ჩვეულებისამებრ, მხიარულად; არ გაიხარა ჩემი მოსვლით. ამ გარემოებამ დამაფიქრა; არ ვიცოდი, რითი ამეხსნა ეს.

„ბოლოს ჰკვიტხვე ცოლს, რისთვის არის ის მოწყენილი. იმან მტირალის ხმით მითხრა: „აჲ ვარო“. მე ის შემებრაღა და მოვეფერე.

„ამ ერთი კვირის განმავლობაში, ის ერთხელაც არ დაწოლილა ჩემს ოთახში, და სულ ავადმყოფობაზე სჩიოდა. მრ-სამ გზის შეენიშნე, რომ ადგა ღამით ლოგინიდან და წავიდა ტყეში, სადაც დიდ-ხნობით რჩებოდა ხოლმე.

„მრთხელ, როდესაც დაავიანდა ტყეში, წაველ მის საძებრად; მაგრამ ის გზაზე შამომხვდა. რო ვკითხე: სად იყავი-მეთქი, მითხრა: „არ გჯერა, რომ ავად ვარ?“

„ამ გვარმა ქცევამ ეჭვი შემიყვანა, ლალატი შევსწამე ცოლს და ამისთვის მრთელი ღამე არ მიძინებია.

„ზუშინ წინ დილით ჩემ ძმას გამოუტყდი და უთხარი ისიც რომ მას—ჩემ ძმას—ვეწამები ლალატს... იმან ეს შეურაცხყოფად მიიღო და მითხრა: „მე დაგიმტკიცებ, ვინ არის შენი მოლაღატე.“

„წუხელი მე და ჩემი ცოლი ერთ ოთახში დავწვიეთ. მე მიმეძინა. ჩემი ცოლი, ის ცოლვით საესე, ამდგარა, ჩემი კალაშნიკი ჩაუტყვამს და ტყეში წასულა. რომ გამომეღვიძა და მოვიძებნე ცოლი, არ სად იყო. ავდექი, ახალუხის ამარა, გარდვიკიდე ხრმალი და წავედი ტყისკენ.

„ზხაზე შემომესმა ყვირილი: „არ გაგიშვებ არა, არა!“ მე ვიცანი ჩემი ძმის ხმა და უცფათ მივაშურე მისკენ. მნახე რომ ჩემ ძმას ვიღაცა კაცი დაუტყვრდა და არ უშვებს. ცოლი კი აქვე ჰდგას და რაღაცას წრიპინობს...

„იმ წამსვე მივხდი რაში იყო საქმე, მარდათ ვიშიშვლე ხრმალი და დავკარი მოლაღატეს; მაგრამ, ჩემდა საუბედუროთ, მის მაგიერ ჩემი ძმა წაიქცა უცნაურის ყვირილით: „მომკალი ძმაო, მომკალი!“ არ მივაქციე ყურადღება ამ ყვირილს, მივარდი ისევ მოლაღატეს და დავჩხვხე ხრმლით. შევხედე, ჩემი ცოლი აქვე დგას, არსად წასულა! ამასაც შამოგვკარი ხრმალი და თავის საყვარელთან მივაწვიინე...

„ჩემი ძმა ავიკიდე ზურგზე და შევათრიე სახლში. მე უბედურს ძმისათვის მარჯვენა ხელი მომეჭრა; რას ვიზამდი, შეუხვიე ხელი. შემდეგ წამოვედი იქ, სადაც ჩემი ცოლი თავისი საყვარლით ეყარნენ იმ ჰაზრით, რომ ორნივე ერთად ერთ საფლაგში ჩამეწვინა; მაგრამ, ჩემდა გასაოცებლად, ისინი არ იყვნენ და მათ მაგიერ ენახე იმ ადგილზე ხრმალი და სხვ...“

ჭუთანი. ბუშინწინ აქაურს ბულვარში შეყრილიყენენ ერთად რამდენიმე ძველი ჩინოვნიკები. ამათში იდგა ერთი ახალგაზდა ყმაწვილი, რომელსაც ერთმა იმ მოხუცებულთაგანმა უთხრა შემდეგი ლექსი:

ითუ კი გინდა სამსახურში მეუფროსის მოწყალება, საკუთარი, არ გაბედო, იქონიო შენ მსჯელობა.

ვით ფინია, ფეხზე დადებ, შიგ თვალეში შიაკქერდი. რაც იამოს, ის უთხარი, ითუ კი გინდა გქონდეს ბედი.

რაც რომ გითხრას, დაიჯერე, ცუდი იყოს, თუნდა კარგი. როს გაგიწყრებს, გაუჩუმდი, თორემ უცვათ გაებარგი.

ჭუთათური

ჭვემო-მაჩხანის შკოლის ანგარიში\*)

შკოლივე ხელოვანის, თანამდებობის, სამსახურის კაცის მოვალეობაა—შეადგინოს ანგარიში თავის მოქმედებაზედ, შრომაზედ. შეადგინოს და წარუდგინოს ეს ანგარიში ან თავის თავს, ან იმ პირს, რომელიც ითვლება იმის უფროსად და ეს „ხელ-ქვეითათ“, ან საზოგადოებას ქვეყანას და დაანახვოს იმას ნაყოფი, რომელიც იმას მოუტანია ამ შრომა-მოქმედებით... როგორც თანამდებობის პირი, მე, ამ საზოგადო კანონის სისრულეში მოსაყვანად, უმოჩილესად ვსთხოვ უფ. რედაქტორს, დამითმოს მცირედი ადგილი თავის პატივცემულ გაზეთში, რომ იმის საშუალებით შემეძლოს ჩემი, იქნება საზოგადოებისაც, სურვილის აღსრულება.

ჭვემო-მაჩხანის სასოფლო სასწავლებელი არსებობს 1876 წლის თებერვლიდან. ითუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სწავლის წელიწადი არ არის სრული 12 თვე, ჩვეულებრივი წელიწადი, არამედ იმას აკლდება: 1) ორი „მრგვალი თვე“—მკათათვე-მარიაშობისთვე—კანიკულებისთვის, 2) ორ-ორი კვირა სამშობოთ და სააღდგომოთ, 3) ორიც საყველიეროთ და დიდ-მარხვაში საზიარებლად და 4) სულ უკანასკნელად, მცირედ რო ვიანგარიშოთ, ორ კვირასაც ართმევს სხვა-და-სხვა დღესასწაული და უქმე დღეები, ასე რომ სრული ოთხი თვე იმას ეჭრება და ამის გამო სწავლის ერთი წელიწადი გამოდის 12-ის მაგივრად რვა თვე, —გამოვა, რომ ამ შკოლაში სწავლა მიდის სრული წელიწად-ნახევარი არც მეტი და არც ნაკლები.

ღიან, სწორეთ ჩვეულებრივი ერთი წელიწადი და ექვსი თვე სწავლობენ აქ სოფლის ისეთი „ბიჭები“, რომელთაც

შემოსვლის დროს არა თუ „ინიც“ არ იცოდნენ არც ერთი ენისა, უბრალო, „შინაურულ“ ლაპარაკსაც ვერ ახერხებდენ ხოლმე რიგიანათ და ადგომ-დაჯდომაც კი ეჩოთიერებოდათ სტოლებზედ; სწავლობენ ისეთი პაწაწა ქართველები, რომელნიც „ჭა“-ს მაგივრად თავს დაიქნევდნენ და „არას“ მაგივრად—გაიქნევდნენ, ან „ნწუუ“-თი მოგიგებდნენ ხოლმე.

შკოლა მარტო ზემოთ ნათქვამ და კიდევ ერთ სოფელს—ერთ საზოგადოებას—როლი აქვს გამართული; სხვა ოთხი სოფელიც, ცალკე მეორე სამამასხლისო მიეწერება. ამ სოფლებში უფრო მახლობლად მაჩხანზედ არის ორი სოფელი, დანარჩენი სამი, სამწუხაროდ, კარგა მანძილით, 3—4 ვერსით, შორავს და მოუხერხებელია ყმაწვილებმა დღე მუდამ, განსაკუთრებით ზამთარში და ცუდ ამინდებში, ორი გზა ჰქნან, ე. ი. დაახლოებით 7—8 ვერსი იარონ, რის გამოც ამ სოფლებიდან შკოლაში მომავალი ყმაწვილების რიცხვი მეტად მცირეა; ისე მცირეა, რომ 35—38 ყმაწვილებში, რომელნიც შეადგენენ ამ სასწავლებლის მოსწავლეთა რიცხვს, მარტო თითო-თითო დადის ამ სოფლებიდან (ესენიც არ კი დადიან, მშობლებს თავისიანებთან ჰყავთ მიბარებულები); დანარჩენები არიან დანარჩენი სამი სოფლიდან.

ამათში, გვარტომობით, სომხები არიან—3, დანარჩენი სულ ქართველები; აზნაური—1, სასულიერო წოდების პირთა შვილები—3 და სხვა—გლეხები.

14 წლის ყმაწვილი სულ დიდია და 6 წლის სულ პატარა ამათში \*).

დადიან შკოლაში—გაყეყილს გატეხილი სჯობიაო, —როგორც საზოგადოთ ყოველ ახლად დადგინებულ და ჯერ არა ღრმად ძირ-გადგმულ სასოფლო სასწავლებლებში, —არა სანატრელის და საკვირველის ბეჯითობით, თუცა ეს სრულიად არ მიეწერება სწავლის უხალისობას და უმეტესობა ამთგანი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ „უბეჯითოთ“ მოსიარულეთა გუნდში.

შკოლასა ჰყავს ერთი მასწავლებელი, რომელიც ასწავლის; 1) სამშობლო ენას, ქართულს, თითო საათი მუდამ დღეს, 2) ორივე აღთქმის საღმრთო ისტორიას სამშობლო ენაზედ, 3) რუსულ ენას, 4) ანგარიშს (ოთხ-ოთხი გაკვეთილი კვირაში), 5) დაკვირვებით სწავლას (Наглядное обучение), 6) უფრო საქირო, ყოველ დღე სახმარ ლოცვებს, 7) ხატვას, წერას, კარანახითაც (письмо под диктовку), წერით ანგარიშს და 8) გალობას.

მოსწავლენი განიყოფებიან სამათ: შფროსი განყოფილება, რომელიც

(\*) იქნება ხთქვას ვინმე: „რა ცოტა ჰყოლია მოსწავლეობი?“ — ეს არ არის არც მასწავლებლის და არც ყმაწვილების მშობლების ბრალი: პირველს სურს გააბევროს ისინი, მეორეებს მოყავთ და თხოულობენ მიღებას, მაგრამ უქონლობა სტოლებიხა ნებას არ აძლევს არც ერთს დაიკაყოფილოს თავისი წადილი.

შესდგება 11 მოსწავლეთაგან, თავისუფლად ჰკითხულობს და სწერს ქართულს „გაკრულს“, ბეჭდურს (სტამბურს), იციან ახალი გამოცემის (სტრაფინიანი) მხატვრების პარიდამ“ კარგა ბლომათ საუკეთესო ლექსები ზეპირად და თავის სიტყვით, ესმისთ შინაარსი მოთხრობისა; ჰკითხულობენ ჩქარა, გაგებით, ვარკვევით, ნიშნებზედ კანონიერად შეჩერებით, „ბუნების პარიდამ“ პირველი განყოფილების სხვა-და-სხვა მცენარეებზედ და ცხოველებზედ და მეორე განყოფილების „გეოგრაფიულ სტატიებზედ“ მოთხრობებს თავის სიტყვით თქმით. (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ წელიწადს „ბუნების პარი“ სრულიად არ ჰქონიათ მოსწავლეებს, ჰკითხულობდნენ, ძალა-უნებურად, უ. ზოგებაშილის „ანბანს“; „ძალა-უნებურად“ მისთვის, რომ მალე გათავებული ჰქონდათ და ეჯავრებოდათ ერთი და იმავესი კითხვა.)—სწერენ გვარიანად და ჰკითხულობენ ისევე ესე რუსულს ნაბეჭდს და ხელთ-ნაწერს. „როდნოე სლოვოს ვარდა ჰკითხულობენ ზ. ძალანდარიშვილის „სახელმძღვანელოს“ და იციან აქედამ 25 პარალელი თარგმნით ქართულიდამ რუსულათ და უკულმა. ზაგებული აქვსთ სიტყვის ნაწილები: არსებითი, დასართავი, ნაცვალ და რიცხვითი სახელები და ზმნა; ამათი კანონები: ნათესავეები, რიცხვი, ბრუნვა, მიმოხვრა, დრო, პიროვნება და ერთმანერთთან კანონიერათ ხმარება.—საღმრთო ისტორიიდან იციან უფრო შესანიშნავი და საკვირველ მოვლენაებზედ მოთხრობები. (სახელმძღვანელო—სოკოლოვის შედგენილი ისტორია). ნუმერაცია ათი ათასამდინ; პირველი ორი მოქმედება—შეერთება და გამოკლება ათასამდინ, წერით. პრიმეტიკული სხვა-და-სხვა გვარი გამოცანების ახსნა, გამოცნობა 70-მდი. ხატვენ მონდრატენკოს შედგენილი სახატავი რვეულებიდან.

საშუალო განყოფილებას შეადგენს 13 ყმაწვილი. იციან ქართული წერა-კითხვა, ხატვა, შესაფერი ანგარიში, ბიბლიური მოთხრობანი და სხ. ჰკითხულობენ „ბუნების ძარს“ და ზოგ-ზოგი, უფრო დიდები, ძალანდარიშვილის სახელმძღვანელო წიგნს.

შკოლოს განყოფილებას წარმოვიდგენენ სხვა-და-სხვა დროს შემოსული პატარა ბავშვები. შემეტსობა წერს ქართულად, ჰხატავს და ჰკითხულობს ანბანს, სხვები, ამ წლის იანვარს აქეთ მიღებულები, ახლა სწავლობენ წერა-კითხვას.

შკოველ გვარი სასწაული ნივთი—კალმები, ამის ტარები, ღრიფილები და ქალღლიც კი—(გარდა ძ-შვილის წიგნის, რომელიც თითონ მოსწავლეებმა იყიდეს თავთავიანთ ფულებით კანონიერ ფასად), რომელიც ამ დრომდი უხვად უკლებლად ჰქონდათ შაგირდებს,—იგზავნება ქალაქიდან, დირექციიდან, და ეძლევა ამათ უფასოთ.

შეშა სასწავლებლისა და მასწავლებლისათვის მოაქვს სოფელს უფასოთ, რამდენსაც საქიროება მოითხოვს.

\*) მით უფრო მომეტე ული სიამოვნებით ვბეჭდეთ ჩვენ ამ ანგარიშს, რომ იმედი გვაქვს, უფ. ჭვემო-მაჩხანის შკოლის მასწავლებლის ამ ჩინებულ მაგალითს სხვებიც წაბამენ და ამნაირად საზოგადოებას გააცნობენ არა-ოფიციალურად ჩვენში სახალხო განათლებას.

# თსლები

ბოსტანისა და ყვავილებისა, ახლად-მიღებული სამზღვარ გარეთიდან **ისპი-დშა** ძაგვასის სამეურნეო საზოგადოე-ბის კამისიონერთან **ლარშმსთან**, ზო-ლოვინის პროსპექტზე, სახლის № 11.  
(10—10)

# ტყავის ქარხანა თვილისში

დამოყენის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირ-და-პირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აღწობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთ-თვის სასყიდლოდ ეჭირებთ, რომ ამ ქარხანაში კმთდებან და მუდამ მონ-კოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წაღებისთვის, უნაზიხისა, კარმ-ტის და ფაშტონებისა, ჩამოებისა **ლ-ნა** და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტო-რაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრე-თვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუყვე-თოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი იყიდება მალა-ზიაში, სიონის პირ-და-პირ.  
(25—7)

ვისაც ჰსურს იყიდოს ხმელი **საშმ-ნებელი ტყე**, ფიჭვისა და ნაძვის, ფიც-რები, სამი და ოთხი წლის განახერხი, შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკის ბუ-ჭყიევის სადგომში, არსენალის ქუ-ჩაზე, სახლის № 31.

საკიროდ ვრაც გამოცეხადო, რომ რიგ-რიგზე შეუსრულებთ ყველას, ვინც შეგვიკვეთს. შეატრების სატანა ამ წლის, 1 მაისიდან დაიწყება

საშკოლე სახლს ქირაობენ, და რომ ვინმე მოთავე აღმოჩნდეს, ისეთი მოთა-ვე, რომელსაც მასწავლებელზედ დიდი გავლენა ჰქონდეს სოფელზედ, თავს საკუთარსაც ააშენებენ.

ეს სოფელი არის ერთი საუკეთესო სოფელთაგანი მთელ ქიზეყში. ამას ფუ-ტკარივით ეხვევა ვაჭარი ხალხი, აქ არის 16 დუქანი, თუ ფარჩისა, თუ სასმელე-ბის, ხარაზების, საწერილმანო, სახალ-ბანდო და სხ.

სოფ. შეგზო—მანხანის სასოფლო შკოლის მას-წავლებელი თეოფ. ძანდლაკი მარტი, 1878.

# განსხადებანი

## თვილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა (შპრავა) ამითაც-ხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თან-დასწრებით 24 მარტს იქნება მხოლოდ ერთხელ ვაჭრობა იმ საქალაქო მამუ-ლის იჯარით მიცემანზედ, რომელიც მდებარებს ქალაქის წრეს გარეთ ნავთლულ-ში იქ, საცა ახლად აშენებენ პირუტ-ყვის საკლავ სადგომსა, და რომელიც შეიცავს 100 (ას) ოთხ-კუთხ საეენს. ეს ადგილი მოთავსებული ადგილია სა-მიკიტნოსათვის ანუ სხვა რომელიმე დუქნისათვის.  
(3—2)

## თვილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა (შპრავა) ამითაც-ხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თან-დასწრებით 24-ს ამ მარტს დანიშნულია ვაჭრობა (მხოლოდ ერთხელ) იჯარით მიცემანზედ იმ ქალაქის მამულიც, რომელიც ნავთლულში მდებარებს და რომელიც შეიცავს 194 დესიატინას და 100 ოთხ-კუთხ საეენსა. ეს მამული საბაღა-ზო ადგილია.  
(3—2)

ქუთაისში  
ანტონ ლოკთიყვიანის ბიბლიო-თეკაში **ისპიდშა**  
1) დედა ენა, ი. ზოგებაშვილისა, ფასი 45  
2) ანუა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ზრ. რჩელოვისა ფასი 20 კ.  
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? პო-მედია პლ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.  
4) ვეზვის ტყარსანი, შოთა რუსთვე-ლისა, ფასი 50 კაპ.  
5) გეგე ლიჩი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.  
და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქარ-თული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

აბრამის შიის თსლი (ვერცხი) იტალიის მოღვმისა, სალი იყიდება ქაპპასინის სამეურნეო საზოგადოე-ბის სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. შირსკის პირ-და-პირ).  
ფასი თითო მისხლისა ქაპსი შაური მართს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

გამოვიდა და ისპიდშა „ცოლი ვიტირო, თუ ფული?“  
პომედია პლ. თუთაევისა  
ისპიდშა: ქალაქში—ყველა წიგ-ნის მალაზიებში და ალექს. ჰიმშეროგ-თან, თელავს—იოსებ ძუზმანაშვილ-თან, ქარელს—დავით შეროჩაშვილ-თან, ხაშურისა და ბეჟაბუბნის ზუჭეში, სურამს—ხაქარია არუ-წოვთან, შუთაისს—იკობ მკანე-ზოვთან და სვ. სერვაძესთან შოთში—მლისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრის-ხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორ-ში—სტ. ზომოვეთან და თვითონ ავ-ტორთან.

| რ.პ. ბ.ზ. | დილა. | საღამ. | II კ. | III კ. | ტელეგრაფი  | მ. კაპ. | მაზანდა                | მან კაპ. | თვილისის სამეურნეო                       |
|-----------|-------|--------|-------|--------|--|---------|------------------------|----------|--|
| თვილისი   | 9 21  | 5 18   |       |        | მცხეთის სიტყვა თვილისიდან:                               |         | თვილისი, 22 მარტი      |          | მრეწვის მედანზე, წინამძღვაროვის          |
| მცხეთა    | 10 11 | 6 27   | 68    | 38     | ქუთაისს, შოთს  | 1       | შქვ. თეო. ბანჯისა, ფთ. | 170      | სახლებში.                                |
| ბორი      | 11 58 | 9 43   | 2 40  | 1 33   | ბორს, დუშეთს, სიღნაღს                                    | 50      | შქვილი წითელი          | 160      | ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე            |
| ხაშური    | 1 29  | 11 57  | 3 92  | 2 18   | როსტოვს, მდებსას, მოსკოვს                                | 2       | ქერი ფული              | 140      | კვირას გარდა, დილის 8—10 მდინა           |
| სურამი    | 1 44  |        | 4 42  | 2 46   | პეტერბურგს, შარშაფას                                     | 2       | ბამბა მრეწვისა, ფული   | 7 50     | მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. მინკევიჩი—ხორუ      |
| შვირილი   | 5 49  |        | 5 81  | 3 23   | მოსხლეთში, შვეიცარიაში                                   | 3       | — ამერიკისა, ფული      | 8 50     | რგი, მისიცივი—შინაგ. ავთმყოფ.            |
| რიონი     | 6 47  |        | 6 75  | 3 75   | იტალიაში და საფრანგეთში.                                 | 3 50    | ბაჰენტილი ბამბა ფული   | 10       | ს. ა. მ. შ. ბ. ა. თ. ს. მერმიშვილი და    |
| სამტრედია | 7 41  |        | 7 73  | 4 29   | ინფლისში   | 3 75    | მატული თუშური ფთ.      | 8 20     | მატკაროვი—შინაგ. ავთმყოფობის             |
| აბ-სენაკი | —     | —      | 8 57  | 4 76   | ფოჯბა  |         | — თარაქამისა ფთ.       | 4 30     | მამამშვი—თვალის.                         |
| შოთი      | 9 40  |        | 9 75  | 5 42   | ა) თვილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთისის, რუსეთს—ყოველ დღე |         | აბრამში ნუხური სტ.     | 2        | მ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. მისიცივი—შო         |
| შოთი      | 9 13  |        |       |        | კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.                        |         | ქონი, ფული             | 5 50     | ნაგანი ავთმყოფ, ქიუჩარიანცი—ვე           |
| აბ-სენაკი | —     | —      | 1 18  | 66     | მ. შურ.—პარასკ. და ორშ. ქაბეთს—                          |         | ქონის სათელი ფული      | 8        | ნერეულის.                                |
| სამტრედია | 11 16 |        | 2 6   | 1 14   | სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:                             |         | სტეფირინის სათელი, ფ.  | 12 80    | ხ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. მერმიშვილი—შინა     |
| რიონი     | 12 13 |        | 3 4   | 1 69   | თვილისისა და შოთისაკენ—ყოველ                             |         | ხორცი ძროხისა, ლიტ.    | 1 8      | განი ავთმყოფობისათვის.                   |
| შვირილი   | 1 18  | ლაშე   | 3 98  | 2 21   | დღე, კვირას გარდა. მ. შურგეთს—                           |         | — ცხვრისა, (ლიტრა)     | 1 8      | პ. ა. რ. ა. ს. კ. ვ. ს. მისიცივი და მსა- |
| სურამი    | 5 12  | 1 10   | 5 33  | 2 96   | ორშ. და პარასკ.  |         | სპირტი, ყვედრო         | 5 60     | ტუროვი—შინაგ. ავთმყოფ. და მინ-           |
| ხაშური    | 5 39  | 1 37   | 5 84  | 3 24   | წიგნის გაგზავნა რუსეთში                                  | კაპ.    | შაქარი, ბროც. ფული     | 8        | კვიჩი—ხორუგ.                             |
| ბორი      | 7 5   | 4 8    | 3 6   | 4 9    | და სამზღვარ გარეთ:                                       |         | — უხვნილი ფული         | 6 50     | შ. ბ. ა. თ. ს. მერმიშვილი და მატკ        |
| მცხეთა    | 8 50  | 6 59   | 9 8   | 5 4    | ლი წიგნის  | 4       | შავა გრვადლი, გირგ.    | 70       | როვი—შინაგანი ავთმყოფობის, ქიუ           |
| თვილისი   | 9 31  | 7 56   | 9 75  | 5 42   | დაზველიდის (სამი მისხალი)                                | 8       | შეთი ქუჩისათვისა ფული  | 12       | ქიუჩარიანცი—ყურის და ხორუგოფ             |